პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ხუთშაბათი 3 ნოემბერი № 257 (16997) ფასი 2 კაპ. 1977

...მუდამ ვუერთგულოთ დიდი ოქტომბრის დროშას, რევოლუციის ალისფერ დროშას! დამ სულ უფრო მეტად აცისკროვნებდეს მსოფლიოს უკვდავი მარქსისტულ-ლენინური იდეების ნათელი! გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს! გაუმარჯოს ჩვენს დიად პარტიას—ლენინის პარტიას! წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

მოსკოვი. სურათზე: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა.

საბჭოს ფოტო.

ლენინის დროშით—კომუნიზმის გამარჯვებისაკენ

საზეიმო სხდომა კრემლის ყრილოგათა სასახლეში

ეკვნი ათწლეულია ძლევამოსილად ფრიალებს პლანეტაზე ოქტომბრის დროშა. არც ერთ მოვლენას არ შეუსრულებია ესოდენ გიგანტური როლი კაცობრობის ისტორიაში, როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შეასრულა, რომელიც განხორციელდა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. მან ხალხებს დაუსახა ნამდვილი სოციალური პროგრესის მწვერვალებისაკენ, კომუნიზმისაკენ მიმავალი გზა.

საბჭოთა — დიდი ოქტომბრის სამშობლომ — მსოფლიოში პირველმა აიშენა განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება. სახელოვანი სამოცი წლის შეღეგები დამკვიდრებულია ანლანან მიღებულ სსრ კავშირის კონსტიტუციაში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითად კანონში.

შეშარიტად გრანდიოზულია მიღწევები, რომლებითაც საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ სახელოვან იუბილეს. მილიონობით მშრომელი, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, მთელ ძალ-ღონეს, ენერგიას ახმარს სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მისი ძლიერების ზრდას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი გზისათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით შეიკრიბნენ 2 ნოემბერს კრემლის ყრილოგათა სასახლეში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილენი. დარბაზში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიის ვეტერანები, ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილენი, დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის წარჩინებული ადამიანები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი სტუმრები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მე-60 წლისთავის დღესასწაულობაზე.

დილის ათი საათია. შეკრებილნი მეუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ფეხზე ამდგარი ხვდებიან ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, დ. ა. კუნაევს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, დ. ფ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, გ. ა. ალიევს, ბ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, პ. მ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, კ. უ. ჩერნენკოს, ი. ვ. კაბანოვოს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. პ. რიაბოვს, კ. ვ. რუსაკოვს.**

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში აგრეთვე არიან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავჯდომარეები და მინისტრთა საბჭოების თავჯდომარეები, პარტიის ვეტერანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის ოვალსაჩინო მოღვაწეები, საბჭოთა მხედართმთავრები, კოსმონავტები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

აქვე არიან სოციალისტური ქვეყნების პარტიებისა და მთავრობების დელეგაციათა მეთაურები, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის მეგობარ სახელმწიფოთა დელეგაციების მეთაურები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ა. სუსლოვმა.**

ამხანაგ მ. ა. სუსლოვის შესავალი სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

დღეს აქ იმისთვის შეკრებილნი, რომ საზეიმო ვითარებაში აღვნიშნოთ საბჭოთა ადამიანებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელების დიდი და სასიხარულო დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავი. **(ტაში).**

1917 წლის 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) თარიღი ისტორიული ნიშანსვეტი გახდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, მთელი მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში.

პირველად ისტორიაში ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური ბელადის ლენინის მეთაურობით რუსეთის გმირმა მუშათა კლასმა, მშრომელ გლეხობასთან, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელებთან კავშირით სამუდამოდ დამხო კაპიტალისტთა და მემამულეთა ექსპლოატატორული წყობილება, მოაზდინა სოციალისტური რევოლუცია და დასაბამი მისცა სოციალისტური საზოგადოების შექმნას ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოებისა, რომელმაც არ იცის ექსპლოატაცია, მშრომელი ადამიანების ნამდვილი დემოკრატიისა და თავისუფლების და უსაზღვრო სოციალური პროგრესის საზოგადოების შექმნას. **(ხანგრძლივი ტაში).**

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა მსოფლიო ისტორიის ახალ ერას, მშრომელი მასების ჩაგვრაზე, ექსპლოატაციასა და სიღატაკეზე დაფუძნებული საზოგადოებრივი სისტემის მსხვრევის ერას, სოციალისტურ საზოგადოებრივ სისტემაზე გადასვლის ერას, რომლის დროს მშრომელი ადამიანები თავიანთი ბედის, თავიანთი ცხოვრების ნამდვილი ბატონ-პატრონები ხდებიან.

ოქტომბრის მესამოცე წლისთავს ჩვენი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა ხვდებიან სოციალიზმის შესანიშნავი გამარჯვებების, მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების გამარჯვების ნიშნით. ოქტომბრის სკკპ-ს ახლა ხორცი შესხმული აქვს მოძმე სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო-ისტორიული მიღწევებით, მათი სულ უფრო მზარდი თანამეგობრობით, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი წარმატებებით.

საბჭოთა კავშირის მშრომელები დიად წლისთავს აღნიშნავენ ლენინურად, კომუნისტურად, საყოველთაო აღფრთოვანებისა და სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის თავდადებული შრომის ვითარებაში. საიუბილეო წლის მთელმა ცხოვრებამ, ყველა მოვლენამ, განსაკუთრებით სსრ კავშირის კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვამ და მიღებამ, ახალი ძალით ცხადყო მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ურყევი შეკავშირება კომუნისტური პარტიის — ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის გარშემო **(ხანგრძლივი ტაში).**

დღეს ამ დარბაზში არიან საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის წარმომადგენლები, რომლებიც ახალი ცხოვრების მშენებლები გახდნენ. ნება მიბოძეთ, ამ ხანაგებო, გულითადად მივესალმო ჩვენს სახელოვან ლენინურ გვარდიას, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მონაწილეებს, პირველი ხუთწლედების დამკვრელებს, დიდი სამამულო ომის გმირებსა და ჩვენი დღეების გმირებს **(ხანგრძლივი ტაში)** — ყველას, ვინც განაგრძობს ოქტომბრის გმირთა საქმეს, წყვეტს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს! **(ტაში).**

ამხანაგებო! ოქტომბრის რევოლუცია პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთობით იშვა. მისმა გამარჯვებამ გზა გაუხსნა ხალხთა და სახელმწიფოთა ურთიერთობის რადიკალურ გარდაქმნას მეგობრობისა და ურთიერთგაგების, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საწყისებზე.

გვიხარია, რომ ჩვენ შორის არიან სტუმრები — მსოფლიოს 104 ქვეყნის 123 დელეგაცია. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ, მძურად მივესალმო პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს, რომლებიც გამოგზავნეს სოციალისტურმა ქვეყნებმა — ჩვენმა ერთგულმა მეგობრებმა და მოკავშირეებმა, საბჭოთა კავშირის მხარდამხარ რომ მიდიან ოქტომბრის გზით. **(ტაში).**

სულითა და გულით მივესალმებით მსოფლიოს არასოციალისტური ნაწილის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებს — ჩვენს თანამოაზრეებს, ამხანაგებსა და თანამოსაგრეებს მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში! **(ტაში).**

ნება მიბოძეთ, გულწრფელად მივესალმო თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მეგობარი იმ სახელმწიფოების დელეგაციების მეთაურებად, რომლებიც კოლონიურ იმპერიათა კრახის შედეგად იშვნენ, მიეცხალმო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად და თავდადებით იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ხალხების სრული ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალური პროგრესისათვის. **(ტაში).**

გვიხარია, რომ ჩვენს დღესასწაულზე ვხედავთ მთელი რიგი ქვეყნების სოციალისტურ პარტიათა დელეგაციებს. **(ტაში).**

ჩვენ მივესალმებით ყველა ჩვენს სტუმარს — პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს, დემოკრატიულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა წარმომადგენლებს, რომლებიც დედამიწის ყველა კუთხეიდან ჩამოვიდნენ ჩვენს დედაქალაქში. **(ტაში).**

მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის ძალების შეკავშირება და კეთილი თანამშრომლობა ის არქიმედის ბერკეტია, რომლის მეშვეობითაც ჩვენი პლანეტის მშრომელები უზრუნველყოფენ მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებას, ახალ ბედნიერ ცხოვრებას შეუქმნიან მშრომელ ადამიანებს, მიაღწევენ სოციალიზმის იდეების გამარჯვებას! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, საბჭოთა ხალხის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გავხსნილად გამოვაცხადო. **(ხანგრძლივი ტაში).**

• • •

სასახლეში ფლერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

თავჯდომარე ამხ. მ. ა. სუსლოვი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს.**

საზეიმო სხდომის მონაწილენი, საზღვარგარეთელი სტუმრები ფეხზე ამდგარი მეუხარე ოვაციით ხვდებიან ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება მთა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

მოხსენების ბოლო სიტყვებს შეკრებილნი ფეხზე ამდგარ მეუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ. დარბაზში გაისმოდა შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის სადიდებლად, შეძახილები „ვაშა!“.

შემდეგ საზეიმო სხდომაზე იწყო გამოსვლები და მისალმებანი.

შესრულებულია ორი წლის გეგმა

ტყიბული. (საკ. კორ.). „საიუბილეო ვახტს — დამკვრელური ფინალი“. ამ დევიზით შრომობს ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივი, რომელმაც ამ დღეებში ქალაქის საწარმოთა შორის ერთ-ერთმა პირველმა უპატაჟო მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალების შესრულება. 21 თვეში სახელოსნომ გამოუშვა 1.562 ათასი მანეთის პროდუქცია, 62 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე ამას სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებდა.

ასეთი მაღალი წარმატება ძირითადად მიღწეულია შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლის გადიდებით.

საოქტომბრო ვახტზე კარგ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ მოწინავე ელექტროზეინკლები გ. ბოჭორიშვილი, კ. ფუტკარაძე, ხარიტონი ბ. პატარაძე, შ. წერეთელი, ე. დვალი, ზეინკალი ნ. ხოლოშენკო, ო. ჭანტურიძე და სხვ.

სახელოსნოს კოლექტივმა გადაწყვიტა საიუბილეო წლის დარჩენილ დროში დაამზადოს და გიასოღოს 220 ათასი მანეთის ნაკეთობანი.

400 000 ტონაზე მეტი ყურძენი

საქართველოს მეკენაფეებმ ა უკვე ორი დღეა, რაც 400.000-ტონიანი მიწნა გადალახეს. 2 ნოემბრისათვის სულ რესპუბლიკაში მოკრეფილი იყო 400.069 ტონა ყურძენი.

1 ნოემბერს ზესტაფონში მოიკრიფა და სახელმწიფოო მარანს ჩაბარდა 500 ტონა ყურძენი, ვანში — 600 ტონა.

ტყიბულელმა, ცაგერელმა და ჭიათურელმა მეკენაფეებმა გუშინ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის საიუბილეო წლის გეგმები.

ხუთწლედის ფონდში

თბილისის ერთნახევარჯერ გადაჭარბეს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ალსანიშნავად ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებებს თბილისის მაუდ-კაბეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ რაციონალიზატორებმა. მათ პირად ანგარიშზეა დაახლოებით 220 ათასი მანეთის ეკონომია.

წარმოებაში დანერგილი წინადადებების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ქსოვილების თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება, მოწყობილობის სრულყოფა და მოდერნიზაცია, მთელი რიგი სამეშაოების მექანიზაცია, რომლებიც ადრე ხელით სრულდებოდა.

ბევრი ძვირფასი წინადადების ავტორები არიან საწარმოს ნოვატორები — ელექტრომემონტაჟის ვ. ილლოხანშვილი, ზეინკალი გ. კაბანაძე, ტექნიკოსი გ. ბაკაიშვილი, ელექტროსამაჭრის უფროსი ტ. გიგოშიძე და სხვები. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე ჩამოსული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია **3 და 4 ნოემბერს იწარმოებს დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, ჩიტაძის ქუჩა № 2, ტელეფონი 93-72-81.**

დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ამხანაგებო!

პატივცემული საზღვარგარეთელო სტუმრებო!

ამ დღეებში საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის კომუნისტები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავენ დიად დღესასწაულს. სამოცი წლის წინათ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით დამხეს კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება. მოხდა მსოფლიო ისტორიაში პირველი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია. **(ტაში).**

ოქტომბრის დაუვიწყარმა დღეებმა მთელი პლანეტა შეძრა. დაიწყო ახალი ისტორიული ეპოქა — მსოფლიოს რევოლუციური განახლების ეპოქა, სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლის ეპოქა. დაიწყო გზა, რომელსაც ადგას დღეს ასმილიონობით ადამიანი, გზა, რომელსაც მთელი კაცობრიობა უნდა დაადგეს. **(ტაში).**

ჩვენ პირველნი ვიყავით. ხშირად გვიჭირდა. უნდა გაგვეძლო მტრულ გარემოცვაში. თავი უნდა დაგველწია საუკუნოვანი ჩამორჩენილობისათვის. უნდა დაგვეძლია ისტორიული ინერციის უზარმაზარი ძალა და გვესწავლა ცხოვრება ახალი კანონებით — კოლექტივიზმის კანონებით.

და ახლა, როცა ბრძოლისა და შრომის ექვსი ათეული წლის მთავარ გადამწყვეტ შედეგს ვაჯამებთ, ამაყად შეგვიძლია ითქვათ: ჩვენ გავძელით **(ტაში)**, ჩვენ არ შეშინებულა **(ტაში)**, ჩვენ გავიმარჯვეთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ გავიმარჯვეთ სამოქალაქო ომისა და შეიარაღებული ინტერვენციის მრისხანე, შფოთიან წლებში, როცა საბჭოთა ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.

ჩვენ გავიმარჯვეთ პირველი ხუთწლეულების ჭძაფრ, ბოლოქარ წლებში, როცა წყდებოდა საკითხი — შეძლებდნენ თუ არა ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები ისტორიის მიერ მათთვის მოზომილ უმოკლეს ვადაში ჩაეყარათ სოციალიზმის საძირკველი, გადაექციათ სამშობლო მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ჩვენ გავიმარჯვეთ დიდი სამამულო ომის მრისხანე, ჭარცეცხლიან წლებში, როცა წყდებოდა საკითხი — ვაუძლებდა თუ არა სოციალიზმი მსოფლიო იმპერიალიზმის დამკვრელი ძალების შემოტევას, იხსნიდა თუ ვერა კაცობრიობას ფაშისტური დამონებისაგან.

ჩვენ გავიმარჯვეთ რთულ, დაძაბულ ომისშემდგომ წლებშიც. „ცივი ომისა" და ატომური შანტაჟის ვითარებაში სწრაფად აღვადგინეთ დანგრეული მეურნეობა. მივაღწიეთ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე შიჯნებს.

ოცდაათ წელზე მეტია საბჭოთა ქვეყანა ჰშვიდობას პირობებში ცხოვრობს. **(ტაში).** შეიქმნა, არსებობს და იხვეწება განვითარებული სოციალისტური საზოგადოება — მასების ისტორიული შემოქმედების შედეგი.

სახელი და დიდება საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ ხალხს! **(ხანგრძლივი ტაში).**

სახელი და დიდება საბჭოთა ადამიანების ყველა თაობას, ქალებსა და კაცებს, კომუნისტებსა და უპარტიოებს, რომლებმაც, ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგავად, ხოლო როცა საჭირო იყო — თვით სიცოცხლის დაუშურებლად, სოციალური პროგრესის მწვერვალებამდე აიყვანეს სამშობლო! **(ხანგრძლივი ტაში).**

მადლიერებისა და სიყვარულის უგულწრფელესი, უმხურვალესი სიტყვებით მივმართავთ ჩვენ რევოლუციის მეტერანებს. სულ უფრო ცოტანი რჩებიან ჩვენს გვერდით ისინი, ვინც 1917 წლის ოქტომბერში ლენინის პარტიის დროშით იერიში მიიტანა ძველ სამყაროზე. მაგრამ სულ უფრო სრულად წარმოგვიდგება მათი გმირობის სიდიადე.

სახელი და დიდება ოქტომბრის პირველმკვალავთ! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამ საზეიმო დღეებში ჩვენ მადლიერებით ვლაპარაკობთ რევოლუციურ სოლიდარობაზე, რომელსაც უცვლელად უწევდნენ საბჭოთს ჩვენი საზღვარგარეთელი კლასობრივი ძმები. მათი გადამწყვეტი გამოსვლები ბევრჯერ დაგვხმარებია იმპერიალიზმის აგრესიული ზრახვების ჩაშლაში.

გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს — ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრ იარაღს! **(ხანგრძლივი ტაში).**

1. საბჭოთა კავშირი სოციალური პროგრესის ავანგარდში

ამხანაგებო! ყოველთვის, როცა რევოლუციის წლისთავს ვღნიშნავთ, ხელახლა ვიაზრებთ ხოლმე ოქტომბრის მნიშვნელობას, ისტორიის მსვლელობაზე, მსოფლიოს ბედზე მისი ზემოქმედების ძალას.

ოქტომბრის რევოლუცია, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა წყვეტდა ჩვენი ქვეყნის პრობლემებს, მისი ისტორიით, მისი კონკრეტული პირობებით წამოყენებულ პრობლემებს, მაგრამ თავისთავად ეს იყო არა ლოკალური, არამედ ზოგადი პრობლემები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობამ დაუსახა მთელ კაცობრიობას. და ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მან გზა გაუხსნა ამ პრობლემების გადაწყვეტას და ამით — ქვეყნად ახალი ტიპის ცივილიზაციის შექმნას. **(ტაში).**

ოქტომბერმა დაამტკიცა საზოგადოების პოლიტიკურ საფუძველთა ძირფესვიანი შეცვლის შესაძლებლობა. რუსეთის პროლეტარიატმა პასუხი გასცა პოლიტიკის ყველაზე მწვავე, ყველაზე საჭირბოროტო კითხვას: მარადიულია თუ არა ექსპლოატატორთა ძალაუფლების მონოპოლია, თუ შეიძლება შეიცვალოს და კიდევაც უნდა შეიცვალოს იგი მშრომელთა ძალაუფლებით.

სოციალისტური მშენებლობის ექვსი ათეული წელი იმის უაღრესად მკაფიო დემონსტრაციაა, თუ რა იძლევა მშრომელ ადამიანებს, რომლებმაც საზოგადოების პოლიტიკური ხელმძღვანელობა აიღეს ხელთ და ქვეყნის ბედისათვის პასუხისმგებლობა იკისრეს. ამ ათეულმა წლებმა დაადასტურა, რომ სოციალიზმისაკენ ერთადერთი გზა იყო და არის მშრომელთა ძალაუფლება, სოციალისტური სახელმწიფოებრიობა. **(ტაში).**

ოქტომბრის გამარჯვებამ მშრომელ ადამიანებს პირველად მისცა შესაძლებლობა ბოლო მოეოოთ ექსპლოატაციისათვის და თავი დაეღწიათ ეკონომიკური სტაგნაციის ტყვეობისაგან. საზოგადოებრივი პროგრესის ეს მთავარი პრობლემა კერძო საკუთრების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი საკუთრებით მისი შეცვლის საფუძველზე გადაწყდა. წარმოების ანარქიამ მეურნეობის მეცნიერულ, გეგმიან მართვას დაუთმო ადგილი.

ისტორიულად მინიმალურ ვადებში უზარმაზარი ჩამორჩენილი ქვეყანა დიდად განვითარებული ინდუსტრიისა და კოლექტივიზებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად გადაიქცა. სულ ორ-ხანევარი სამუშაო დღე სჭირდება ჩვენს მრეწველობას, რომ იმდენივე პროდუქცია აწარმოოს, რამდენსაც მთელი 1913 წლის ძანძილზე აწარმოებდა. **(ტაში).** ახლა ჩვენ მეტ სამრეწველო პროდუქციას ვუშვებთ, ვიდრე მეოთხედი საუკუნის წინათ მთელი მსოფლიო აწარმოებდა. ისტორიაში პირველი სოციალისტური ქვეყნის გიგანტური ეკონომიკური ზრდა — ეს არის შრომის განთავისუფლების შედეგი, ადამიანთა შრომის შედეგი, რომელებმაც იციან, რომ თავისთვის, საერთო კეთილდღეობისათვის მუშაობენ. **(ტაში).**

ოქტომბერმა, სოციალიზმმა კაცობრიობის ისტორიას მშრომელთა სულიერი განთავისუფლების გამოცდილებაც შესძინეს. მჩაგვრელთა ბატონობის ერთ-ერთი „საფუძველი" მუდამ ის იყო, რომ მასების მიმართ აშკარა ფიზიკურ ძალმომრეობასთან ერთად ისინი სულიერ ძალმომრეობასაც მიმართავდნენ. მმართველი კლასები ყოველნაირად უხმობდნენ მშრომელებს განათლებისა და კულტურის გზას, ყალბი იდეებისა და წარმოდგენების ტყვეობაში პყავდათ ისინი. აი რატომ იყო, რომ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ რევოლუციას კანონზომიერად მოჰყვა კულტურული რევოლუცია.

ერთი თაობის სიცოცხლეში საბჭოთა ქვეყანამ მთლიანად და სამუდამოდ მოიშორა უწიგნურობის მძიმე უღელი. მშრომელები კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილენი, სულიერ ღირებულებათა შემოქმედნი არიან. ხალხის წიაღიდან გამოვიდა ახალი, სოციალისტური ინტელიგენცია, რომელმაც სახელი გაუთქვა სამშობლოს მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების უთვალსაჩინოესი მიღწევებით. განხორციელდა კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნეთა ოცნება — მოხდა შრომისა და კულტურის ისტორიული შერწყმა. **(ტაში).** ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მთელი მსოფლიო კულტურის ისტორიაში ეს უდიდესი მნიშვნელობის შემობრუნება იყო. **(ტაში).**

ოქტომბრის მიღწევათა შორის განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ეროვნული საკითხის — საზოგადოების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული, ყველაზე დრამატული საკითხის გადაწყვეტას.

პარტია, ვ. ი. ლენინი, რომლებიც ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა საბრძოლო კავშირისათვის იღვწოდნენ, მუდამ იცავდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, მათს სრულ და უთუო თანასწორუფლებიანობას. და ოქტომბრის გამარჯვება ამავე დროს იყო გამარჯვება ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. **(ტაში).** ყოფილი მეფის რუსეთის ხალხებს პირველად მიეცათ ისტორიული არჩევანის შესაძლებლობა, თავიანთი ბედის გამგებლობის უფლება.

მათ გააკეთეს არჩევანი. ისინი გაერთიანდნენ მძლავრ საკავშირო სახელმწიფოდ და რუსი ხალხის უანგარო დახმარებით მტკიცედ დაადგნენ ახალი ცხოვრების გზას. **(ტაში).**

ხალხთა შეკავშირებისა და ურთიერთდახმარების ქალამ უმაგალითოდ დაჩქარა ყველა რესპუბლიკის განვითარება. ეროვნულმა შუღლმა და უნდობლობამ ადგილი დაუთმო მეგობრობასა და ერთმანეთის პატივისცემას. **(ტაში).** იქ, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ნერგავდნენ ეროვნული ეგოიზმის ფსიქოლოგიას, მტკიცედ მოიკიდა თეხი ინტერნაციონალიზმმა. ახალი ნათელი ფერები შეემატა ურთიერთგამდიდრებულ ეროვნულ კულტურებს, რომლებიც ერთიან საბჭოთა სოციალისტურ კულტურას ქმნიან.

საბჭოთა კავშირის ხალხთა თანასწორობა, ძმობა, ურღვევი ერთიანობა — ყოველივე ეს ფაქტი გახდა. **(ტაში).** შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა საბჭოთა ხალხი. ერთა დაახლოების სულ უფრო მზარდი პროცესი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს სწვდება. ასეთია, ამხანაგებო, ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი შედეგი, ასეთია ჩვენი გამოცდილება, რომლის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა უდავოა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ოქტომბრის უდიდესი მონაპოვარია სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრება. ჩვენ სრული უფლებით ვამბობთ: არც ერთ საზოგადოებას, რომელიც ოდესმე არსებობდა ამქვეყნად, არ გაუკეთებია და ვერც გააკეთებდა ხალხის მასებისათვის, მშრომელებისათვის იმდენს, რამდენიც სოციალიზმმა გააკეთა! **(ტაში).** ყოველი საბჭოთა ადამიანი სრულად სარგებლობს უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალებას აძლევს. ყოველ საბჭოთა ადამიანს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს ცხოვრების გზა თავისი შოწოდებისა და უნარის შესაბამისად, გამოადგეს სამშობლოს, თავის ხალხს.

განუწყვეტლივ უმჯობესდება საბჭოთა ადამიანის ცხოვრებისა და მუშაობის პირობები. საბჭოთა მოქალაქისათვის უცხოა ხვალინდელი დღისათვის შიშის დამამცირებელი გრძნობა, უმუშევრად, უიქიმოდ, უსახლკაროდ დარჩენის შიში. საზოგადოება დგას მისი უფლებებისა და ინტერესების სადარაჯოზე, იცავს მის მოქალაქეობრივ, ადამიანურ ღირსებას.

კეთილსინდისიერი შრომა, მაღალი მოქალაქეობრიობა, იდეურ-ზნეობრივი თვისებები — აი, რით განისაზღვრება ადამიანის მდგომარეობა და პრესტიჟი ჩვენს ქვეყანაში. ეს არის პიროვნების შემოქმედებითი ინიციატივის, პიროვნების სულიერი ზრდის დაუშრეტელი წყარო. ეს არის სოციალური სამართლიანობისა და სოციალური თანასწორობის ყველაზე დამაჯერებელი გამოვლინება. **(ტაში).**

ამ ცოტა ხნის წინათ მივიღეთ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ყველა გარდაქმნა, ყველა ცვლილება, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდება, უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავს უზრუნველყოს თითოეული ადამიანის ნამდვილად ადამიანური ცხოვრების პირობები. მან კვლავ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ თავისუფლების, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის ცნებები მხოლოდ სოციალიზმის პირობებში იძენს ნამდვილ შინაარსს. **(ტაში).**

ამხანაგებო! დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი სოციალური პროგრესის ავანგარდში ჩაყენა. და დღეს, რვა წლის შემდეგ, ჩვენ ღირსეული ადგილი გვიკავია მის ყველაზე მოწინავე მიჯნებზე. ჩვენ ქვეყნად პირველებმა შევქმენით განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, ჩვენ პირველნი ვაშენებთ კომუნიზმს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს ქვეყანას ჯერ არასოდეს არ ჰქონია ესოდენ დიდი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, ჯერ არასდროს არ ყოფილა ესოდენ მტკიცე. ესოდენ საიმედო მისი თავდაცვისუნარიანობა. **(ტაში).** ჩვენ არასდროს არ გვქონია იმ ამოცანების გადაწყვეტის ისეთი ხელსაყრელი შესაძლებლობანი, რომელთა გულისთვის, საბოლოოდ ანგარიშით, ბოხდა კიდევაც რევოლუცია, — ეს არის მასების კეთილდღეობის გაუმჯობესება, სოციალისტური დემოკრატიის გაშლა, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება.

განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობათა სრული რეალიზაცია — ეს, თუ გნებავთ, ჩვენი დღეების პათოსი გახლავთ. სწორედ ეს განსაზღვრავს პასუხისმგებლობასაც, რომელსაც დღეს გვაკისრებს ისტორია.

პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს შეგნებული აქვთ ეს პასუხისმგებლობა. სკკპ XXIV და XXV ყრილობებმა განსაზღვრეს ჩვენი ისტორიის თანამედროვე, უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე კომუნისტური მშენებლობის სტრატეგია და ტაქტიკა. ეკონომიკის დარგში აღებული იყო საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიური ზრდის მთელი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების კურსი.

ვახორციელებთ რა ამ კურსს, ჩვენ უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. თუ საწყის წერტილად 1967 წელს, საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდამეათე წლისთავის წელს ავიღებთ, ვნახავთ, რომ მას შემდეგ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი პრაქტიკულად გაორკეცდა. **(ტაში).** მაგრამ, უნდა ითქვას, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია თვისებრივი ცვლილებანი. სახალხო მეურნეობის განვითარების სულ უფრო ქმედითი ფაქტორი ხდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. სწრაფი ტემპით ვითარდება წარმოების უახლესი დარგები, განსაკუთრებულად იზრდება შრომის ნაყოფიერება.

პარტიის კურსის შესაბამისად ეკონომიკის განვითარება სულ უფრო მეტად წარიმართება იმ გზით, რომ გადაწყდეს მრავალფეროვანი ამოცანები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებასთან.

ამ ამოცანების გადაწყვეტას დიდად განსაზღვრავს ეკონომიკის ავარარული სექტორის მდგომარეობა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის ისტორიაში ჯერ არასდროს გაკეთებულა ამდენი რამ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. მოკლე ვადაში ძირფესვიანად გარდაიქმნა სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ეკონომიკა. უმაგალითო მასშტაბით გაიშალა მელიორაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ქიმიზაციის სამუშაოები.

ჩვენ უკვე ვიმკით ამ უდიდესი გარჯის ნაყოფს. შეგახსენებთ, რომ 1967 წელს ჩვენ გვქონდა 148 მილიონი ტონა მარცვლეული, 11,5 მილიონი ტონა ხორცი, 6 მილიონ ტონამდე ბამბა. მიმდინარე წელს კი, რომელსაც არამცთუ საუკეთესო, არამედ საშუალოც კი არ ეთქმის ამინდის თვალსაზრისით, წარმოებული იქნება 194 მილიონი ტონა მარცვლეული, 15 მილიონ ტონამდე ხორცი, 8,4 მილიონი ტონა ბამბა. **(ტაში).** ჩემი აზრით, ეს ციფრები ჯეროვანი შეფასების ღირსია **(ტაში)**, თუმცა კარგად ვიცით, რომ ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი სოფლის მეურნეობის ყველა პრობლემა. პარტია ყოველნაირად იღვწის, რომ ეს დარგი მთლიანად უზრუნველყოფდეს ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებებს.

საგრძნობლად დაწინაურდა ისეთი რთული პრობლემის გადაჭრის საქმე, როგორიც არის ბინის პრობლემა, რომელსაც უზარმაზარი სახსრები სჭირდება. საბჭოთა ხელისუფლების მთელი არსებობის მანძილზე აშენებული საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის მესამედი უკანასკნელ ათწლეულზე მოდის. **(ტაში).** ამ წლებში ჩვენმა ას ათმა მილიონმა თანამემამულემ იგრძნო ახალი ბინის მიღების სიხარული. **(ტაში).**

დიდ რესურსებს გამოვყოფდით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაფართოებლად. ათ წელიწადში ჩვენმა მრეწველობამ პრაქტიკულად გააორკეცა და მნიშვნელოვნად განაახლა ამ პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესა იგი. ერთიორად გაიზარდა ავტომობილური საქონელბრუნვა. კმაყოფილდება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნა ბევრ ხანგრძლივსახმარ საქონელზე, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ დეფიციტურად ითვლებოდა.

ეკონომიკის ზრდამ საშუალება მოგვცა არსებითად მოგვმატებინა ხელფასი და გაგვეზარდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. საბჭოთა ადამიანების რეალური შემოსავალი ათ წელიწადში 1,6-ჯერ გაიზარდა, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის მშრომელთა ცხოვრების დონე და გაუმჯობესდა მათი ყოფა-ცხოვრება.

ყოველი ფაქტი, ყოველი ციფრი, რომლებიც ჩვენს განვითარების ტემპს ახასიათებს, განვითარებული სო-

(გაგრძელება მე-3 გვ.)

გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი

3 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის უნერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ი. ბრეჟნევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები **ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, დ. ა. კუნაევი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები **ჯ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ი. მ. მაშეროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი. კ. უ. ჩერნენკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები **ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი,** მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები და მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის პრეზიდიუმის სხვა წევრები, პარტიის სამმართველო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები იყვნენ ვ. ი. ლენინის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფუძემდებლის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ბელადის, მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის მავზოლეუმში და გვირგვინებით შეამკეს ალ. გ. გვირგვინის ალიფერ ლენტზე წარწერილია: „ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილეებისაგან".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა, სხვა ამხანაგებმა — საზეიმო სხდომის პრეზიდიუმის წევრებმა გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი და წუთიერი დუმილით პატივი სცეს საბჭოთა მეომრების სხოვნას, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. (ხაკდესი).

სურათზე: ვ. ა. ლენინის მავზოლეუმის გვირგვინთა შემკობის დრეს.

საკდეს-ხაკინფორმის ტელეფოტო.

დიდი ზრომითი გამარჯვება

გაზის მრეწველობის სამინისტროს, ნავთობის მრეწველობის სამინისტროსა და ნავთობის და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ დიდ შრომითს გამარჯვებას ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში — დასახულ ვადაზე ორი თვით ადრე მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის გაზის სადღეღამისო მოპოვების მიღწევას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გაზისა და ნავთობის მრეწველობის მუშაკები, ამ დარგების საწარმოთა მშენებლები წარმატებით ასრულებენ გაზის მოპოვების ზრდის მეათე ხუთწლედის დავალებებს. ხუთწლედის დამდეგიდან დადგენილ დავალებათა გადაჭარბებით მოპოვებულია 12 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი გაზი, დიდძალი გაზის კონდენსატი და მაღალ ხარისხოვანი გოგირდი.

გაზის მრეწველობა მოკლე ვადაში გადაიქცა ხალხსახო მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად და სულ უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, ქვეყნის ნათბობის ბალანსის, საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე. დღეს გაზით ხარგებლობს 170 მილიონამდე კაცი. თქვენი შრომითი მიღწევები პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისა მკაფიო მაგალითია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ თქვენ პირნათლად შეასრულებთ გაზის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის დასახულ ამოცანებს, ღირსეულ წვლილს შეიტანთ მაღალეფექტიანი ნედლეულითა და ნათბობით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის საქმეში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, ახალ შრომის მიღწევებს, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ლ. ბრეჟნევი

დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ციალიზმის უდიდეს შესაძლებლობათა დამაჯერებელი დადასტურებაა. ეს ახალი ძალით გამოვლინდა ოქტომბრის იუბილესადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების დროს. **(ტაში).** საბჭოთა ადამიანებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და კიდევაც შეასრულეს სიტყვა. მათ წამოაყენეს შემხვედრი გეგმები, რომლებიც არათუ მთლიანად, გადაჭარბებითაც კი გაანაღდეს. სამშობლო მადლობას უძღვნის საიუბილეო ვახტის მონაწილეებს, ყველას, ვინც მამაცური შრომით შეხვდა დიდი რევოლუციის სახელოვან წლისთავს! **(ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ ამ წარმატებებს და კარგად გაცნობილი, რომ პრობლემები ჯერ კიდევ საკმარისად გვაქვს, რომ წინ საქმიანობის უზარმაზარი ასპარეზია.

ჩვენი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი, დღის კონკრეტული ამოცანები პარტიის უკანასკნელმა ყრილობებმა, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა განსაზღვრეს. მათი გადაწყვეტილებანი ცნობილია. ისინი ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ კადრების საქმიანობას, ყველა მშრომელის მუშაობას. ეს მოთხოვნები იმასთან არის დაკავშირებული, რომ საზოგადოებრივი განვითარების მომდინარეობა სულ უფრო რთულ ამოცანებს სახავს ცხოვრების სხვადასხვა დარგში. ხოლო რაც უფრო რთულია ამოცანები, რაც უფრო რთულია საშუაო, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება შეთანხმებულ, აწყობილ მუშაობას, დისციპლინას — ყოველივე ამას, რასაც შეგვიძლია მაღალი ორგანიზებულობა ვუწოდოთ.

მაღალი ორგანიზებულობა ყველა დონეზე, პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლში, თითოეულ სამუშაო ადგილას XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებელი, უცილობელი წანამძღვარია.

ამავე დროს ეს იმ პრობლემების გადაჭრის უაღრესად მნიშვნელოვანი წანამძღვარიც არის, რომლებსაც ალბათ მომავალში წავაწყდებით. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რომ სწრაფი წინსვლისათვის, იმისათვის, რომ ქვეყანა მძლავრი და მდიდარი გახდეს, ჩვენ „გვაქვს მასალა ბუნებრივი სიმდიდრისაც, ადამიანურ ძალთა მარაგისაც, საუცხოო გაჭანებისაც, რომელიც ხალხის შემოქმედებას მისცა დიდმა რევოლუციამ....“[1] **(ტაში).** დღეს ამას დაემატა უზარმაზარი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ძლიერება, ავრეთვე ახალი ცხოვრების მშენებლობის მდიდარი გამოცდილება. ჩვენ მართლაც ყველაფერი გვაქვს საიმისოდ, რომ მტკიცედ ვიაროთ სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ, დავიპყროთ პროგრესის ახალ-ახალი მწვერვალები.

მაგრამ ეს, ამხანაგებო, სწორედ რომ მწვერვალებია. მათი გზა შეიძლება ციცაბო და ძნელი იყოს. და ეს გზა, ტექნიკური ენით თუ ვიტყვით, ოპტიმალური რეჟიმით რომ გავიაროთ, დღესვე უნდა დავსახოთ ხვალინდელი დღის ამოცანების გადაწყვეტის გეგმები. პარტია სწორედ ასე იქცევა. **(ტაში).**

ჩვენი აგრარული პოლიტიკა სწორედ იმით გამოირჩეოდა, რომ ორიენტაციას იღებს არა მარტო მომდინარე საჭიროებებზე, არამედ მომავალზეც. ჩვენ ვიღაწვით სასურსათო პრობლემის ძირეული გადაჭრისათვის, ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, და ამას ისეთ პირობებში ვაკეთებთ, როცა იზრდება მოსახლეობა და მისი მოთხოვნილებანი, მიწის ფართობი კი იგივე რჩება. აი რატომ არის, რომ მომავლისთვისაც სოფლის მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებულ, ინტენსიურ განვითარებას ვგეგმავთ. აი რატომ არის, რომ დიდ კაპიტალურ დაბანდებას ვაძლევდით და მიგცემთ სოფლის მეურნეობას, გავადიდებთ მრეწველობის იმ დარგების სიმძლავრეებს, რომლებიც სოფელს ემსახურებიან.

ამ ჩვენს გეგმებში არცთუ მცირე როლი განეკუთვნება რუსეთის არაშავმიწანიადაგიან ზონას. ჩვენი ქვეყნის ცენტრის ვრცელი რაიონი მაღალპროდუქტიული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ზონა უნდა გახდეს. **(ტაში).** იგი მნიშვნელოვნად შეავსებს ჩვენს სასურსათო რესურსებს.

მომავლისათვის არის ორიენტირებული ბოლო წლებში შემუშავებული სხვა დიდი კომპლექსური პროგრამებიც. ეს არის უწინარეს ყოვლისა დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის განვითარების, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის, შორეული აღმოსავლეთის სამრეწველო და სატყეო-სამრეწველო კომპლექსების შექმნის პროგრამები. მათ უნდა უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის მომავალი მოთხოვნილებანი ნავთობზე, გაზზე, ქვანახშირზე, შავ და ფერად ლითონებზე, ხე-ტყესა და სხვა სახეობათა ნედლეულზე. ასეთი პროგრამების განხორციელებას ორმა სოციალური აზრიც აქვს. იგი ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ბევრი დაშორებული რაიონის ათვისებას, სადაც ათობით ახალი ქალაქი აღიმართება, ახალი კულტურული ცენტრები შეიქმნება. ჩვენი ყოფიდან სამუდამოდ გაქრება თვით ცნება „უკაცრიელი მხარე“.

ჩვენი დროის დიად მშენებლობაზე განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საბჭოთა ახალგაზრდობის სიმტკიცე, შემოქმედებითი შემართება, იდეური წრთობა. **(ტაში).** კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც მამა-პაპათა სახელოვან ტრადიციებს აგრძელებენ, კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში არიან, შრომაში ვაჟკაცდებიან, სწავლობენ მეურნეობის მართვას, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა ხელმძღვანელობას. ქვეყნის მომავალი მათ ხელშია, და ჩვენ დარწმუნებული ვართ — საიმედო ხელშია. **(ხანგრძლივი ტაში).**

როცა ძომავალზე ვფიქრობთ, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მეცნიერებას. მან უდიდესი წვლილი უნდა შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში. ეს არის ენერგიის ახალი წყაროებისა და ბევრი სახეობის ბუნებრივი რესურსების შემცველების აღმოჩენა, სახალხო მეურნეობის ტექნიკური განახლება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ხელის და მით უმეტეს, მძიმე ფიზიკურ შრომას, სოფლის მეურნეობის აღმავლობის ხელშეწყობა, ბრძოლა ავადმყოფობათა წინააღმდეგ და ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება.

ჩვენი ეკონომიკის მომავალია ეფექტიანობის ამაღლება. სახალხო მეურნეობის წარმატებული, დინამიკური განვითარების უზრუნველყოფის სხვა გზა არ არსებობს. სწორედ ამიტომ ახორციელებს და განახორციელებს პარტია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, თითოეულ სამუშაო ადგილზე, თითოეულ სამმართველო რგოლში ორგანიზებულობისა და წესრიგის გაძლიერების გეზს. **(ტაში).**

როცა მომავალს ვფიქრობთ, კიდევ ერთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. ჩვენი საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების ყველა სფეროსათვის სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა ადამიანების შეგნების, კულტურის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დონე. ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ჩავუნერგოთ ადამიანს მაღალი საზოგადოებრივი მიზნებისადმი სწრაფვა, იდეური მრწამსი, შრომისადმი ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულება. აქ გადის კომუნიზმისათვის ბრძოლის მეტად დიდმნიშვნელოვანი ფრონტი, და ამ ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებებზე სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური მშენებლობის მომდინარეობაც და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებაც. **(ტაში).**

როგორც ხედავთ, პერსპექტივაში ბევრი პრობლემა — თან დიდი პრობლემები გვაქვს გადასაჭრელი. მაგრამ სოციალიზმის ძალა სწორედ ის არის, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილება საშუალებას გვაძლევს არა მარტო განვჭვრიტოთ ასეთი პრობლემები, არამედ დროზეც დავგეგმოთ მათი გადაწყვეტა.

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხი იმედიანად შეჰყურებს მომავალს. მას მტკიცედ სწამს, რომ ცხოვრება სულ უფრო უკეთესი, სულ უფრო მშვენიერი, სულ უფრო შინაარსიანი გახდება. **(ხანგრძლივი ტაში).** ამის საწინდარია მილიონობით ქალისა და კაცის შრომა, თავდადებული, კომუნიზმის იდეალებით შთაგონებული შრომა. ამის საწინდარია კომუნისტური პარტიის ლენინური, მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყოველი ჩვენგანისათვის, კომუნისტი ლენინელებისათვის, უმაღლესი ჯილდოა ის, რომ საბჭოთა ადამიანები მთელ თავიანთ მიღწევებს, ყველა გამარჯვებას პარტიას უკავშირებენ. და ეს გასაგებიც არის. **(ტაში).** პარტია ხომ განუყოფელია ხალხისაგან. მის რიგებში არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. იგი მშრომელთა უსაზღვრო ნდობით სარგებლობს. **(ტაში).**

მაგრამ, ამხანაგებო, ხალხის ნდობა მომთხოვნი ნდობაა. ამიტომ პარტიის ყოველი გადაწყვეტილება, პოლიტიკაში, ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში ყოველი მისი ნაბიჯი ისეთი უნდა იყოს, რომ სულ უფრო მტკიცდებოდეს პარტიისა და ხალხის ერთიანობა, კვლავინდებურად ურყევი იყოს პარტიისადმი ხალხის ნდობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს პარტიას ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ თავისი ისტორიული პასუხისმგებლობის სიმაღლეზე იდგეს. ჩვენ შთაგაგონებს მაღალი მიზანი — ხალხის კეთილდღეობა. ჩვენ გვაქვს ახალი ცხოვრების მშენებლობის მდიდარი, მრავალი წლის გამოცდილება. ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელოა მარქსიზმ-ლენინიზმი — მეცნიერება, რომელმაც შეისისხლხორცა კაცობრიობის გენიის ყველა მიღწევა. ჩვენ გვწამს ჩვენი ძალები. **(ხანგრძლივი ტაში).**

1917 წლის ოქტომბერში დაწყებული დიადი გზა, კომუნიზმისათვის დიადი ბრძოლა გრძელდება. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი წერდა: „...როცა საბრძოლველად მიდიხართ, ჩვენ გამარჯვება უნდა გვსურდეს და მისკენ ნამდვილი ბიჯის ჩვენება უნდა შეგვეძლოს“[1]. ჩვენ გვსურს გამარჯვება. ჩვენ ვიცით მისი გზა. ჩვენ გავიმარჯვებთ და მივალთ კომუნიზმამდე! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

— სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია, თუ მუშათა კლასი და მისი ავანგარდი — კომუნისტები შეძლებენ აღაფრთოვანონ, შეაკავშირონ მშრომელთა მასები ახალი საზოგადოების აშენებისათვის, ეკონომიკისა და მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

— სოციალიზმი დამკვიდრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშრომელთა ხელისუფლება შეძლებს დაიცვას რევოლუცია კლასობრივი მტრის ყოველგვარი იერიშისაგან (ასეთი იერიშები კი გარდაუვალია — როგორც შიგნიდან, ისე, უფრო მეტად, გარედან).

ეს სოციალიზმის თანამედროვე განვითარების მხოლოდ ზოგიერთი გაკვეთილია. ისინი კვლავ ადასტურებენ ოქტომბრის გამოცდილების, დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას — ჩვენი რევოლუციის პირობების მთელი თავისებურების მიუხედავად. ისინი კვლავ ადასტურებენ, რომ უაღრესად სწორი იყო ვ. ი. ლენინი, როცა ამბობდა: „რუსული ნიმუში **ყველა ქვეყანას** უჩვენებს ზოგიერთ, და ფრიად მნიშვნელოვან რამეს მათი გარდაუვალი და არცთუ შორეული მომავლისადმი“[1]). **(ტაში).**

მაგრამ მსოფლიო სოციალიზმს სხვაგვარი გამოცდილებაც აქვს, რომელიც ადასტურებს, რომ მარქსისტულ-ლენინური კურსიდან, პროლეტარიული ინტერნაციონალიზმიდან გადახვევა გარდაუვალად მოუტანს მარცხსა და მძიმე განსაცდელს ხალხს.

კარგად არის ცნობილი, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვა ჩინეთში სოციალიზმის ეკონომიკური კანონების უგულებელყოფის ცდებს, სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობისა და სოლიდარობისაგან განდგომას. მსოფლიო ასპარეზზე რეაქციის ძალებთან პირის შეკვრას. ჩინელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვრებს დიდი საფრთხე შეექმნა.

ახლა კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთი მოღვაწე აშკარად იმაზე ამყარებს იმედს, რომ ახლანდელი წინააღმდეგობანი და განკერძოება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს, სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის ფიდხანს დარჩება და მომავალში გამწვავდება კიდეც. ჩვენი აზრით, ეს ბეცი პოლიტიკაა. კისერი არ წაიტეხონ იმათ, ვინც ამ პოლიტიკას ადგას. **(ტაში).**

არ დავიწყებთ მკითხაობას, თუ როგორ წარიმართება შემდგომში საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა. მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენი არაერთგზის წამოყენებული წინადადებანი ამ ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ ძალაში რჩება.

ამხანაგებო! სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დიდი წვლილი თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრებაში — ეს არის ის ახალი ურთიერთობა, რომელიც მომძლე პარტიების ინტერნაციონალისტური პოლიტიკის მეოხებით დამყარდა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის — და უწინარეს ყოვლისა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს შორის.

ჩვენ წმინდა სინდისით შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენი კავშირი, ჩვენი მეგობრობა, ჩვენი თანამშრომლობა — ეს არის კავშირი, მეგობრობა და თანამშრომლობა სუვერენული, თანასწორუფლებიანი სახელმწიფოებისა, რომლებიც შეკავშირებული არიან საერთო მიზნებითა და ინტერესებით, ამხანაგური სოლიდარობითა და ურთიერთდახმარებით. **(ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ ერთად მივდივართ, ვეხმარებით ერთმანეთს, ვაერთიანებთ ღონისძიებებს, ცოდნას, რესურსებს რაც შეიძლება სწრაფი წინსვლისათვის. **(ტაში).**

ჩვენ ნედლეულის, სათბობისა და ენერგეტიკის, სურსათის, ტრანსპორტის პრობლემების ერთად გადაწყვეტის კურსს დავადექით. ჩვენ ვაღრმავებთ სპეციალიზაციასა და კოოპერირებას, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ბაზაზე. ამ ამოცანებს გადავწყვეტთ სიმედოდ, ეკონომიურად, ხანგრძლივი ვადით. გადავწყვეტთ მათ თითოეული მომძლ ქვეყნისა და მთელი თანამეგობრობის ინტერესებისა და საჭიროებების გაგებით. **(ტაში).**

ამხანაგებო! შორეულ 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშებმა და გლეხებმა მარტოდმარტო გაიღაშქრეს ძველი სამყაროს — სიხარბის, ჩაგვრისა და ძალადობის სამყაროს წინააღმდეგ. მათ აშენეს სოციალიზმი ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმული იყო იმპერიალიზმის მტრული ძალებით. ააშენეს და დაიცვეს. ახლა მარტო არა ვართ. ჩვენი ქვეყანა სოციალისტურ სახელმწიფოთა დიდი ოჯახის ნაწილი გახდა. **(ტაში).** ამაშ გახა ჩვენთვის, საბჭოთა კომუნისტებისა და ყველა საბჭოთა ადამიანისათვის შეიძლება იყოს მსოფლიოში რაიმე უფრო ახლობელი, ვიდრე ეს სოციალისტური ოჯახია? **(ტაში).** მისი აყვავებისათვის, ჩვენი საერთო კეთილდღეობისათვის ყველაფერს ვაკეთებთ, რის უნარიც კი შეგვწევს.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის უდიდესი გავლენა, რომელიც ჩვენმა ოქტომბერმა მოახდინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე.

სწორედ ოქტომბრის გამარჯვებამ ნამდვილად გამოაღვიძა კოლონიალური ხალხების შეგნება, დაეხმარა მათ მოეპოვებინათ უდიდესი წარმატებანი იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1919 წელს ვ. ი. ლენინი უკვე წერდა: „... აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლება ახლა პრაქტიკულად სავსებით განსახორციელებელია“[2]).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ფაშიზმზე ჩვენი გამარჯვების შემდეგ ორ მილიარდზე მეტმა კაცმა მოიშორა კოლონიზატორთა უღელი, მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მთლიანად იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა მისი კლასიკური ფორმებით შეიძლება უკვე ლიკვიდირებულად მივიჩნიოთ. ეს, ამხანაგებო, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. **(ხანგრძლივი ტაში).**

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ბევრი განთავისუფლებული სახელმწიფო უარყოფს — განვითარების კაპიტალისტურ გზას და მიზნად ისახავს ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების აშენებას, ორიენტაციას სოციალიზმზე იღებს.

სოციალისტური ქვეყნების სახით ამ სახელმწიფოებს ჰყავთ უღალატო და საიმედო მეგობრები, რომლებიც მზად არიან გაუწიონ მათ ყოველგვარი დახმარება და მხარდაჭერა პროგრესული გზით განვითარებაში. არა მარტო მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა, არამედ ეკონომიკურიც, ორგანიზაციულიც — თავდაცვის განმტკიცებაში ხელშეწყობამდეც.

თავისუფლებისათვის მებრძოლთა გზა იოლი როდია. საჭიროა შეუპოვარი შრომა სოციალიზმისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი ეკონომიკის საფუძვლების შესაქმნელად. გარდაუვალია გაფთრებული შეტაკებანი ექსპლოატატორულ ელემენტებთან და მათს უცხოელ მფარველებთან. ხანდახან ისინი ახალგაზრდა სახელმწიფოთა პოლიტიკაში ზიგზაგებს და ზოგჯერ უკუსვლასაც კი იწვევენ, მაგრამ განვითარების გენერალური მიმართულება უდავოა. მილიონობით მშრომელის ნება, რომლებმაც შეიგნეს თავიანთი მიზნები და თავიანთი ადგილი ცხოვრებაში, — ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ისეთი საზოგადოებრივი წყობილების საბოლოო გამარჯვების საიმედო საწინდარია, რომელიც თავისუფალი იქნება ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან. **(ტაში).**

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ იმპერიალიზმი შეურიგდა განვითარების ასეთ მიმდინარეობას. არა, მისი პოზიციები ყოფილ კოლონიებში ზოგჯერ ჯერ კიდევ მეტად ძლიერია და იმპერიალისტები ცდილობენ ყველაფერი იღონონ, რათა შეინარჩუნონ ისინი, ხოლო სადაც მოახერხებენ, გააღრმაონ და გააფართოონ.

ახლა ისინი ავრე ადვილად ვერ გაბედავენ პირდაპირ შეიარაღებულ ჩარევას განთავისუფლებულ სახელმწიფოთა საქმეებში. ამგვარი უკანასკნელი დიდი აქცია — ამერიკის შეერთებული შტატების ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ — ისეთი გამანადგურებელი და სამარცხვინო მარცხით დამთავრდა, რომ საეჭვოა ასეთი ავანტიურების განმეორების ხალისი გაუჩნდეთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

იმპერიალისტურ სამხედრო ბლოკებში ახალგაზრდა ქვეყნების ჩათრევის ცდები მზარდ წინააღმდეგობას აწყდება. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა მიუმხრობლობის მოძრაობა.

იმპერიალიზმი, ალბათ, ასევე ამაოდ ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ყოფილი კოლონიების რეაქციული რეჟიმები, რომლებიც თვითონვე შექმნა ან მოსყიდული ჰყავს. რა შეუძლიათ ამ რეჟიმებს შესთავაზონ ხალხებს იმავე იმპერიალიზმზე დამოკიდებულების ახალი ფორმების გარდა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ტალღები აბობოქრდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ვ. ი. ლენინი წერდა: „...მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ აღადგენს ძველ პატონყმობას აზიაში, ვერ აღგვის პირისაგან მიწისა ხალხის, მასების გმირულ დემოკრატიზმს აზიურ და ნახევრად აზიურ ქვეყნებში“[1]). **(ტაში).** დღეს კი ჩვენ მტკიცედ შეგვიძლია განვაცხადოთ: მსოფლიოში ვერავითარი ძალები ვერ აღგვიან პირისაგან მიწისა იმპერიალიზმის ყოფილ კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებში მრავალმილიონიანი მასების გმირული განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგებს. ხალხთა განთავისუფლების საქმე უძლეველია. მომავალი მას ეკუთვნის. ოქტომბრის მიერ ანთებული შუქი არ ჩაქრება მსოფლიო ისტორიის ამ ფრონტზეც. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ოქტომბრის გამარჯვებამ დასაბამი მისცა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბრძოლის ახალ ეტაპს.

სოციალიზმის მშენებლობამ სსრ კავშირში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც, ხელი შეუწყო პროლეტარიატის პოლიტიკური სიმწიფის ზრდას კაპიტალის ქვეყნებში. ამაღლდა მისი რიგების ორგანიზებულობა. შეიქმნა ძალა, რომელმაც უნდა შეასრულოს დიდი როლი ისტორიაში — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. გაფართოვდა მონოპოლიათა ბატონობის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მოკავშირეთა ფრონტი.

ამავე დროს კაპიტალიზმი სულ უფრო ნათლად ავლენს თავს როგორც უმმავლო საზოგადოება. მისი ეკონომიკა ქრონიკულ ციებ-ცხელებას შეუპყრია. ტექნიკური პროგრესი საწარმოებიდან ქუჩაში მიერეკება მუშათა იმოდენა მასებს, რომ ეს საფრთხეს უქმნის მთელ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას. განუწყვეტლივ მატულობს ფასები, კვლავ ნომერ პირველი პრობლემაა ინფლაცია. ყველაზე მაღალი თანამდებობის მოღვაწეთ ბნელი პოლიტიკური მაქინაციების, გამყიდველობის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კანონის უხეში დარღვევების სკანდალური მხილებანი ბომბებივით სკდება ხან ერთ, ხან მეორე ქვეყანაში და მმართველი კლასის გახრწნას ცხადყოფს. ამას თან ერთვის დამნაშავეობის რეკორდული ზრდა. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ სოციალიზმზე გადასვლის ობიექტური ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წანამძღვრები ძლიერ მომწიფდა. კაპიტალისტური ქვეყნების მასებს სულ უფრო სწყურიათ ძირფესვიანი გარდაქმნები.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზია გამოცდილი მოწინააღმდეგეა. იგი ცდილის ტაქტიკას. მიმართავს მანევრებს. ნაწილობრივი რეფორმების მეთოდებით იგი ცდილობს გაანეიტრალოს ანტიკაპიტალისტური პოზიციები, შეანელოს მასების ლტოლვა სოციალიზმისადმი.

ამ პირობებში კომუნისტური პარტიები ცდილობენ სრულყონ რევოლუციური ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. ისინი იღვწიან იმისათვის, რომ შეაკავშირონ მთელი დემოკრატიული ძალები მონოპოლიათა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან დაკავშირებით მათ თეორიულ მეთოდოლოგიებში არის საინტერესო დებულებები, თუმცა, ალბათ, ყველაფერი არ შეიძლება ჩაეთვალოს ბოლომდე დამტკიცებულად და უდავოდ. გასაგებიც არის: ძიება ძიებაა. ოღონდ საჭიროა, რომ ეს სწორი მიმართულებით მიდიოდეს.

რა მარშრუტებსაც უნდა ირჩევდნენ, საბოლოო ანგარიშით კომუნისტთა მოწოდებაა მასებს გაუძღვენ ძირითადი მიზნისაკენ — სოციალიზმისაკენ. ოქტომბრის მარჯვებისათვის ბრძოლის გამოცდილებამ ცხადყო, რომ რევოლუციურ საქმიანობაში სავსებით შესაძლებელია ტაქტიკის შეცვლა, კომპრომისები ახალი მოკავშირეების შესაძენად. მაგრამ სხვა რამეშიც დავრწმუნდით: არამც და არამც არ უნდა ეანაცვალოთ პრინციპული ტაქტიკური სარგებელს. თორემ, როგორც იტყვიან, თმა შეგრჩება, თავს კი დაკარგავ. **(სიცილი, ტაში).**

(დასასრული მე-4 გვ.).

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 176.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 55.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 6.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 168.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გ. 708.

2. ოქტომბერმა სახე უცვალა მსოფლიოს

ამხანაგებო! მსოფლიო ისტორიის არც ერთ მოვლენას არ მოჰყოლია ისეთი ღრმა და ხანგრძლივი შედეგები კაცობრიობისათვის, როგორიც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას მოჰყვა. ოქტომბრის შუქმა მომავლის გზა გაუნათა ბევრი ქვეყნის ხალხებს. ისტორია სწორედ რომ გოლიათური ნაბიჯებით წავიდა წინ.

ოქტომბრის საერთაშორისო შედეგებიდან, რომლებმაც ჩვენი ეპოქის სახე განსაზღვრეს, უმთავრესია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა და განვითარება. **(ტაში).** იყო დრო, როცა ოქტომბრის გამარჯვებითა და მილიონებზე მისი მძლავრი ზემოქმედებით შეშინებულ ბურჟუაზიას „მოსკოვის ხელი“ ელანდებოდა მსოფლიოს ყოველ რევოლუციურ მოვლენაში. ახლა ეს ბავშვური ზღაპრები ცოტას თუ სჯერა. რევოლუციები იწყება და იმარჯვებს თითოეული მოცემული ქვეყნის შინაგანი განვითარების საფუძველზე, მისი ხალხის ნებით. ევროპის, აზიის, ამერიკის მთელი რიგი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციები ოქტომბრის იდეათა და საქმეთა გაგრძელებას ნიშნავდა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამის შედეგად მსოფლიო სოციალიზმის პრაქტიკა გაფართოვდა, გამდიდრდა. სოციალისტურ გზაზე დამდგარი თითოეული ქვეყანა ასე თუ ისე თავისებურად წყვეტდა სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების, გლეხობის კოოპერირების, ხალხის მასების იდეური აღზრდის პრობლემებს.

ეჭვი არ არის, რომ განვითარების სხვადასხვა დონისა და ეროვნული ტრადიციების მქონე სხვა ხალხებისა და ქვეყნების გადასვლა სოციალიზმზე კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ ფორმებს. ეს სრულიად ბუნებრივია.

მაგრამ, რიგორც ცხოვრება ადასტურებს, რჩება და თავის ძალას ინარჩუნებს სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ძირეული, განუყოფელი ზოგადი ნიშნები.

მსოფლიო სოციალიზმის განვითარების ერთობლივი გამოცდილება, კერძოდ, გვარწმუნებს, რომ:

— რევოლუციის მთავარ საკითხად რჩება ძალაუფლების საკითხი. ან ძალაუფლება მუშათა კლასისა, რომელიც მთელ მშრომელ ხალხთან კავშირით გამოდის ან ბურჟუაზიის ძალაუფლება. მესამე არ არსებობს. **(ტაში).**

— სოციალიზმზე გადასვლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მუშათა კლასი და მისი მოკავშირენი, ფლობენ რა რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებას, გამოიყენებენ მას კაპიტალისტი და სხვა ექსპლოატატორების სოციალურ-ეკონომიკური ბატონობის ლიკვიდაციისათვის.

დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

რაც უფრო მეტია კომუნისტური პარტიების გავლენა, ძით უფრო აქტიურად ცდილობს იმპერიალიზმი ჭეშმარიტების გზას ააცდინოს კომუნისტები. ამას სრადიან უსუმადაც — ზემოქმედების, მუქარის შეთოდებით, და უფრო გაწაფულადაც. ახლა ბურჟუაზიული ქვეყნების კომუხისტებს ხშირად ჰპირდებიან. „საზოგადოებაში თქვენი ადგილის უფლებას ვცნობთო", ოღონდ სანაცვლოდ მოითხოვენ... „სულ ცოტა რამეს": ხელი აიღონ კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის ბრძოლაზე, ინტერნაციონალუო კლასობრივ სოლიდარობაზე. მაგრამ კომუნისტებმა უკვე დიდი ხანია ადგილი დაიმკვიდრეს საზოგადოებაში. დაიმკვიდრეს სწორედ რევოლუციური ბრძოლით. მათი როლი საზოგადოებაში ცნეს ხალხებმა, და მის წარმოშვას ვერავინ ვერ შეძლებს! **(ხანგრძლივი ტაში).**

იმპერიალისტებს ძალიან უნდათ ეირი გამოუთხარონ კომუხისტთა რიგების შეკავშირება. ამ მიზნით, კეროძოდ, გულძოდგინედ ცდილობენ შეძოგვაპარონ ყალიი ვეოსია, თითქოს სოციალისტური ქვეყხების კომუიისტური პარტიები, და გახსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კომუხისტური პარტია, დასავლეთის კომუხისტებს თავს ახკევენ საზოგადოების სოციალისტური გაოდაქმნის თავიახთ რეცეპტებს. მაგრამ ეს ამკარა ფალსიფიკაციაა.

ჩვეხი პარტია, ისევე როგორც ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტია, ტკიცედ იცავს კომუნისტურ მოძრაობაში საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს — თანასწორუფლებიანობას, დამოუკიდებლობას, საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, სოლიდარობას და ყველა ქვეყხის კომუხისტთა ურთიერთმხარდაჭერას.

დღეს, როცა აღვიშნავთ ჩვეხი რევოლუციის მესამოცე წლისთავს, ჩვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტები, კვლავ ვაცხადეთ, რომ მუდამ ერთგული ვიქნებით ძმოფლიოს კომუხისტთა დიადი ძმობისა! **(მქუხარე ტაში).** ჩვენ მხურვალედ ვუსურვებთ უდიდეს წარმატებებს კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, ძათს მოკავშირეებს, რომლებიც იბრძვიან კაპიტალის დიქტატურის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის. **(ტაში).** თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ ჩვენს მეგობრობაში, სოლიდარობასა და მხარდაჭერაში! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! საბჭოთა ხელისუფლება იმვა ლენინური ზაკის დეკრეტის ხიშნით, და იმ დროიდან მოყოლებული ჩვენი ქვეყნის მთელი საგარეო პოლიტიკა გამსჭვალულია მშვიდობისმოყვარეობით. ობიექტურმა ისტორიულმა პირობებმა გვიკარნახა მისი კონკრეტული შინაარსი: სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსი.

ახლა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები საკმაოდ მტკიცედ დამკვიდრდა საერთაშორისო საქმეებში, როგორც ერთადერთი რეალისტური და გონივრული პრინციპები. ეს არის მსოფლიოში ძალთა თანხფარდობის შეცვლის — და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ქვეყნის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდის შედეგი. ეს არის აგრეთვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და ეროვნული განთავისუფლების ძალების მიერ მოპოვებულ წარმატებათა შედეგი. დაბოლოს, ეს არის იმის შედეგი, რომ კაპიტალისტური სამყაროს მმართველი წრეების გარკვეულ ნაწილს ესმის ახალი რეალობანი. **(ტაში).**

ამავე დროს ეს არის იმ უდიდესი მუშაობის შედეგი, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე გასწიეს საბჭოთა კავშირმა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებმა, რათა მშვიდობის მიმართულებით გარდაექმნათ საერთაშორისო ურთიერთობა.

მსოფლიოში მომხდარ სასიკეთო ცვლილებებმ, რომლებიც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა სამოცდაათიან წლებში, ეწოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. ეს ცვლილებები ხელშესახები და კონკრეტულია და მით გამოიხატება, რომ აღიარებული და საერთაშორისო ეოკუძენტებით დამკვიდრებულია სახელმწიფოთა პატივსანი და სამართლიანი ურთიერთობის წესების თავისებური კოდექსი, რაც სამართლებრივ და მორალურ-პოლიტიკურ დაბრკოლებას ქმნის სამხედრო ავანტიურების მოუვალობა გზაზე. ისინი იმით გამოიხატება, რომ მიღწეულია პირველი, ჯერჯერობით თუნდაც მოკრძალებული მორიგებანი, რომლებიც ახშობს გამალებული შეიარაღების ხოგიერთ არხს. ისინი იმით გამოიხატება, რომ შექმნილია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის ბევრი დარგი, მომცველ შეთანხმებათა განმტოებული ქსელი.

ყველაზე ხაოლად სასიკეთო ცვლილებანი ჩანს ევროპაში, სადაც მტკიცდება ხალხთა კეთილმეზობლობა, ურთიერთგაგება, ერთმანეთისადმი ინტერესი და პატივისცემა, ჩვეხ დიდად ვაფასებთ ამ მიღწევას, ჩვენს ძოვალეობად მიგვაჩნია ყოველნაირად გავუფრთხილდეთ და განვამტკიცოთ იგი. ამიტომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თანამშრომლობას ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არის საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რეპუბლიკა, ინგლისი, იტალია, ევროპის სხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნა დიდ თუ პატარა სახელმწიფოსთან.

ბუნებრივია ავრეთვე, რომ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას. ბევრი რამ აშორებს ჩვენს ქვეყნებს — იქნება ეს სოციალურ-ეკონომიკური წყობა თუ იდეოლოგია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველას როდი მოსწონს ჩვენი წყობილება, ჩვენც ბევრი რამის თქმა შეგვეძლო იმაზე, თუ რა ხდება ამერიკაში. მაგრამ თუ მთავარ ყურადღებას წინააღმდეგობებს დავუთმობთ და ერთმანეთის ჭკუის სწავლებას დავიწყებთ, ეს მხოლოდ გაამძაფრებს უნდობლობასა და მტრობას, რაც ჩვენი ორი ქვეყნისათვის უსარგებლო და მთლიანად მსოფლიოსათვის საშიში იქნება. საბჭოთა სახელმწიფოს გარიჟრაჟზე ლენინი აფრთხილებდა მაშინდელ ამერიკელ ხელმძღვანელებს, რომ „ეხსნენთ თუ არა ეს მათ — საბჭოთა რუსეთი დიდი სახელმწიფოა", რომ „ამერიკას არაფერს არ მისცემს ვილსონის პოლიტიკა — ღვთისმოსაობით თქვას უარი ჩვეიათან საქმის დაჭერაზე. იმ საბაბით, რომ ჩვენი მთავრობა გულზე არ ეხატება",[1] ეს სწორი იყო ნახევარი საუკუნის წინათ. და მით უმეტეს სწორია ახლა. **(ხანგრძლივი ტაში).**

თვით ცხოვრება მოითხოვს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში გადამწყვეტი იყოს ისეთი გრძელვადიანი მოსაზრებანი, რომლებიც ხაკარნახევი იქნება მშვიდობისათვის ზრუნვით. ასეთ გეზს ვადგავართ ჩვენ; ამასვე მოველით პასუხადაც, ჩვენ კვლავ მზად ვართ განვაგრძოთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის დაწყებული განვითარება თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე.

საერთაშორისო ურთიერთობა ახლა თითქოს იმ გზების გასაყარზეა, რომელთაგან ერთს ნდობისა და თანამშრომლობის ზრდისაკენ მივყავართ, მეორეს კი ორმხრივი შიშის, ეჭვების, იარაღის დაგროვების ზრდისაკენ, და ეს გზები, საბოლოო ანგარიშით, მიგვიყვანს ან მტკიცე მშვიდობამდე, ანდა, საუკეთესო შემთხვევაში, ომის ზღვარზე ბალანსირებამდე. დაძაბულობის შენელება მშვიდობის გზის არჩევის საშუალებას გვაძლევს. ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება დანაშაული იქნებოდა. და ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა შევწყვიტოთ გამალებული შეიარაღება, რომელმაც ლამის წალეკოს მსოფლიო **(ხანგრძლივი ტაში).**

სამწუხაროდ, შეიარაღების ზრდა გრძელდება და სულ უფრო საშიშ ფორმებს იღებს. — იქნება — და კარგად არის ცნობილი, ვისი ინიციატივითაც — მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი ნაირსახეობანი და ტიპები. არადა, ყოველი ასეთი ახალი სახეობა რამდენიმე უცნობიანი განტოლებაა, თანაც არა მარტო სამხედრო-ტექნიკური ან სტრატეგიული, არამედ პოლიტიკური შედეგების თვალსაზრისითაც. იარაღის ტიპების წარამარა ცვლა, რასაც, ალბათ, საფუძველად უდევს გულუბრყვილო იმედი, რომ ამით შეინარჩუნებენ შეიარაღების მონოპოლიას, მხოლოდ აჩქარებს გამალებულ შეიარაღებას, აღრმავებს ერთმანეთისადმი უნდობლობას, აძნელებს განიარაღების ღონისძიებათა განხორციელებას.

ამასთან დაკავშირებით მინდა სრულიად გარკვეულად დავადასტურო აზრი, რომელიც წინათაც გამომითქვამს. საბჭოთა კავშირი ეფექტიანად ზრუნავს თავისი თავდაცვისათვის, მაგრამ სულაც არ ცდილობს და არც ეცდება სამხედრო უპირატესობის მოპოვებას მეორე მხარესთან შედარებით. ჩვენ არ გვინდა დავარღვიოთ სამხედრო ძალების დაახლოებითი წონასწორობა, რომელიც ახლა შეიქმნა, ვთქვათ, ცენტრალურ ევროპაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ან სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. სამაგიეროდ ჩვენ მოვითხოვთ, რომ არც სხვა ვინმე ცდილობდეს მის დარღვევას თავის სასარგებლოდ. **(ტაში).**

რა თქმა უნდა, ახლანდელი წონასწორობის შენარჩუნება თვითმიზანი არ არის. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ დაღმავალი ხაზით დავიწყოთ გამალებული შეიარაღების მრუდის ჩამოყვანა, თანდათან შევამციროთ სამხედრო კონფრონტაცია. ჩვენ გვინდა არსებითად შევამციროთ, მერე კი საერთოდ აღმოვფხვრათ ატომური ომის საფრთხე — ყველაზე მრისხანე საშიშროება კაცობრიობისათვის. სწორედ ამას ისახავს მიზნად საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების კარგად ცნობილი წინადადებანი.

დღეს ჩვენ წინადადებას ვიძლევით გადავდგათ რადიკალური ნაბიჯი: შევთანხმდეთ, **რომ ყველა სახელმწიფო ერთდროულად შეწყვეტს ბირთვული იარაღის** წარმოებას, სულ ერთია — იქნება ეს ატომური, წყალბადის, თუ ნეიტრონული ბომბები ან ჭურვები. ამავე დროს ატომურ სახელმწიფოებს შეეძლოთ ეკისრათ ვალდებულება, რომ შეუდგებოდნენ უკვე არსებული მარაგის თანდათან შემცირებას და ასე განაგრძობდნენ წინსვლას ამ იარაღის სრულ, „ასპროცენტიან" ლიკვიდაციამდე. ატომის ენერგია — მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით! — ასეთი მოწოდებით მიმართავს მთავრობებსა და ხალხებს თავისი მესამოცე წლისთავის წელს საბჭოთა სახელმწიფო.

არის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ატომური ომის საფრთხის შემცირების ამოცანასთან. საქმე ეხება იმას, რომ ბოლომდე მივიყვანოთ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საქმე, რომ ასეთი გამოცდა აღარ მოეწყოს არა მარტო ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ, არამედ — მიწისქვეშაც. ჩვენ გვინდა ბოლოს და ბოლოს ადგილიდან დავძრათ ამ საკითხზე მოლაპარაკება და წარმატებით დავასრულოთ იგი. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: მზად ვართ შევთანხმდეთ, **რომ ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის გარკვეული ვადით აკრძალვასთან ერთად მორატორიუმი გამოცხადდეს მშვიდობიანი მიზნით ატომურ აფეთქებაზე.** იმედი გვაქვს, რომ სსრ კავშირის ამ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს ღირსეულად დააფასებენ ჩვენი მოლაპარაკების მონაწილე პარტნიორები და, ამრიგად, გზა გაეხსნება ხელშეკრულების დადებას, რომელსაც უკვე დიდი ხანია მოელიან ხალხები. **(ტაში).**

მტკიცედ მიდის მშვიდობის გზით საბჭოთა კავშირი. ჩვენ აქტიურად და მტკიცედ ვიღწვით იმისათვის, რომ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის დავა წყდებოდეს არა ბრძოლის ველზე, არა შეიარაღების კონვეიერებზე, არამედ მშვიდობიანი შრომის სფეროში. ჩვენ გვინდა, რომ ამ ორი სამყაროს გამყოფ საზღვრებად გადიოდეს არა ბირთვულ-მუხტიანი რაკეტების ტრასები, არამედ მთელი კაცობრიობის საკეთილდღეო ფართო და მრავალფეროვანი თანამშრომლობის არხები. **(ტაში).** ამ პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელებით ჩვენ ვასრულებთ ოქტომბრის ერთ-ერთ მთავარ ლოზუნგს, ლენინის ერთ-ერთ უმთავრეს ანდერძს: მშვიდობა **ხალხებს! (ტაში).**

თუ შევძლებთ მთავარი ამოცანის — ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების, მტკიცე მშვიდობის დამკვიდრების ამოცანის გადაწყვეტას, ეს ახალ შესანიშნავ პერსპექტივებს გადაუშლის პლანეტის მცხოვრებთ. გაჩნდებიან ბევრი სხვა იმ საარსებო პრობლემის გადაჭრის წანამძღვრები, რომლებ[illegible] კაცობრიობის წინაშე.

რა პრობლემებია ეს?

ეს არის, მაგალითად, ადამიანთა უდიდესი [illegible] სურსათით, ნედლეულით, ენერგიის წყაროებით უზრუნველყოფის აუცილებლობა. არსებული გაანგარიშებებ[illegible] მიხედვით ხომ დედამიწის მოსახლეობა საუკუნის დასასრულს ოთხიდან ექვს მილიარდამდე გაიზრდება. შემდეგ ეს გახლავთ კოლონიალიზმის შედეგის — აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური ნამორჩენილობის დაძლევა, რაც აუცილებელია მომავალში სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალური განვითარებისათვის და საერთოდ კაცობრიობის პროგრესისათვის. დაბოლოს, ეს არის ადამიანის დაცვა საფრთხისაგან, რომელსაც მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე უქადის შემდგომი უკონტროლო ტექნიკური განვითარება, — სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანისათვის ბუნების შენარჩუნება.

ეს სავსებით რეალური და ძალზე სერიოზული პრობლემებია. ყოველ ახალ ათწლეულში მათი სიმწვავე სულ უფრო გაიზრდება, თუ გეგმაზომიერი საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით არ გამოვნახეთ მათი გონივრული კოლექტიური გადაწყვეტის გზა.

ამჟამად მსოფლიო სოციალურად ერთგვაროვანი არ არის, მას ქმნიან სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოები. ასეთია ობიექტური ფაქტი. მსოფლიოს სოციალისტური ნაწილი თავისი შინაგანი განვითარებით და საერთაშორისო ურთიერთობისადმი თავისი მიდგომით კარგ მაგალითს იძლევა საიმისოდ, თუ რა გზით აჯობებს იმ დიდი პრობლემების გადაჭრა, კაცობრიობის წინაშე რომ დგება. მაგრამ მას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია მთელი კაცობრიობის მაგივრად გადაჭრას ეს პრობლემები. აქ საჭიროა თითოეული ქვეყნის ხალხის გამიზნული ღონისძიებანი, საჭიროა ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის ფართო და კონსტრუქციული თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირი მთლიანად ემხრობა ასეთ თანამშრომლობას და, თუ ღრმად დავუკვირდებით, სწორედ ეს არის შინაარსი საგარეო-პოლიტიკური კურსისა, რომელსაც ჩვენ მშვიდობიანი თანაარსებობის კურსს ვუწოდებთ.

ამხანაგებო, მეგობრებო! ოქტომბრის მონაპოვარნი, სოციალიზმის პოტენციალი ჩვენს დროში კაცობრიობის შემდგომი პროგრესის ყველაზე საიმედო საწინდარია. ოქტომბერი დიადი გარდაქმნების დროშაა, რომელიც მეოცე საუკუნეში აღიმართა მშრომელთა მასების ხელით და მარჯვენით. **(ტაში).**

ჩვენ იმ ეპოქისაკენ მივდივართ, როცა სოციალიზმი, მისი ამა თუ იმ კონკრეტული, ისტორიულად განპირობებული ფორმით ქვეყნად გაბატონებული საზოგადოებრივი სისტემა გახდება და მთელ მშრომელ კაცობრიობას მოუტანს მშვიდობას, თავისუფლებას, თანასწორობას და კეთილდღეობას. **(ტაში).**

ეს არც უტოპიაა და არც ლამაზი ოცნება. ეს რეალური პერსპექტივა გახლავთ. და ჩვენ, ამხანაგებო, მას ყოველდღიურად ვაახლოებთ ჩვენი გარჯითა და ბრძოლით, მას თავიანთი გარჯითა და ბრძოლით აახლოებენ მილიონობით ჩვენი თანამედროვენი. სწორედ ეს არის ოქტომბრის რევოლუციით დაწყებული საქმის განგრძობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

მაშ მუდამ ვუერთგულოთ დიდი ოქტომბრის დროშას, რევოლუციის ალისფერ დროშას! **(მქუხარე ტაში).**

დაე, სულ უფრო მეტად აცისკროვნებდეს მსოფლიოს უკვდავი მარქსისტულ-ლენინური იდეების ნათელი! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს დიად პარტიას — ლენინის პარტიას! **(მქუხარე ტაში).**

წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხადიდებლად, შეძახილები „ვაშა!").**

ოქტომბრით შობილი

სადღესასწაულო კონცერტი კრემლის ყრილობათა სასახლეში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისავს მიეძღვნა კონცერტი, რომელიც 2 ნოემბერს გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში. მრავალრიცხოვანი საბჭოთა ხელოვნების ოსტატები სამშობლოს, პარტიას, ხალხს უპატაკებენ ერთგულ შემოქმედებითს მიღწევებს, რომლებიც საიუბილეოდ ლენინური იდეების გამარჯვებას ენინ სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

კონცერტს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები, პარტიული ცენტრალური კომიტეტის მუშაკები.

დარბაზში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და ეროვნული კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აგრეთვე საიუბილეო ზეიმობაზე ჩამოსული საზღვარგარეთელი სტუმრები.

სადღესასწაულო კონცერტი ხსნა მუსიკალურ-პოეტური კომპოზიციით „ოქტომბრით შობილი". მან მაყურებელთა თვალწინ გააცოცხლა სოციალისტური საშობლოს გმირული ისტორიის ფურცლები, გაიცნო მისი ბედი და სასახელო გზის ეტაპები.

კონცერტის სცენარის ავტორი, დამდგმელისა და პალეტ-ტერის — სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. მოისეენკოს ისტორიული ჩანაფიქრით გაერთიანებული კომპოზიციის შუაგული თემები გვიამბობს პირველ-ხუთწლედების, მილიონობით ადამიანის შრომითი ენთუზიაზმის შესახებ.

სამოდამოდ დარჩება ხალხის ხვნამ დიდი სამამულო ომის ავიწყარი წლები. საბჭოთა მიხეებს საბრძოლო სულისკვეთების სიმბოლოდ გაიხმის „წმინდა ომი" — სიმღერა, რომელიც საშობლოს დამცველებს მომავალი გამარჯვების რწმენას განუმტკიცებდა. კინოკონცერტზე მოჩანს დოკუმენტური კადრები: ბრძოლის ველზე შეტაკებებისა და ზურგში თავდადებული შრომის პანორამა, და აი, ნანატრი გამარჯვებაც: რაიხსტაგის თავზე წითელი დროშა ფრიალებს. კომპოზიციის კადეგ ერთი თავი „გამარჯვების პარადი".

კომპოზიციის დასკვნითი ნაწილი ეძღვნება სკკპ ისტორიულ XXV ყრილობას, სსრ კავშირის კონსტიტუციას, რომელმაც ხალხს ნათელი და სასიხარულო პერსპექტივები დაუსახა, სახელოვან ცხოვრების გზას, რომელიც პარტიასთან და ხალხთან ერთად ვანვლო ერთგულმა ლენინელმა, დაოულალმა მშვიდობისათვის მებრძოლმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. საზეიმოდ და დიდებულად ჟღერს ა. პახმუტოვის კანტატა „სიჭაბუკისათვის მშვენიერი ქვეყანა".

თავიანთი საუკეთესო სიმღერები, ცეკვები და ლექსები გამოიტანეს კრემლის სცენაზე ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის წარმოგზავნილებმა.

კონცერტის მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა ხელოვნების განთქმული ოსტატები — ე. ობრაზცოვა, ვ. ბიეშუ, ტ. სინიავსკაია, ე. ნესტერენკო, ე. ბელაევა, ა. მოკროუსოვ, ვ. ულიანოვი, ცნობილი სიგუნდო, მოცეკვეთა კოლექტივები, სიმფონიური და სასულე ორკესტრები.

დღება ფინალი სადღესასწაულო კონცერტისა, რომელმაც ცხადყო საბჭოთის ხალხთა ხელოვნების აყვავება, კრემლის ყრილობათა სასახლის თაღებქვეშ გაისმის შეძახილები, რომლებიც ადიდებენ კომუნისტურ პარტიას, დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის მოზეიმე საბჭოთა ადამიანების ძმობასა და მეგობრობას.

(საკდესი).

გულისყურით ისმენდნენ

სურათზე: ხელარმოო გაერთიანება „ჩარხმშენე ბლის" მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ისმენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

უდიდესი ყურადღებით

უსმენდა მილიონობით ადამიანი

2 ნოემბერს მილიონობით ადამიანი გახდა ჩვენი ქვეყნისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში მომხდარი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის მოწმე. ცენტრალური ტელევიზია, საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური პირდაპირ ტრანსლაციას აწარმოებდა კრემლის ყრილობათა სასახლიდან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა მოხსენება „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი", რომელსაც დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციით შეხვდნენ.

კომბინის, შორეული აღმოსავლეთის, უკიდურესი ჩრდილოეთისა და შუა აზიის მცხოვრებლებისათვის მოსკოვიდან ტრანსლაცია მოეწყო ავრეთვე პროგრამებით „ორბიტა" და „ვოსტოკი".

„ინტერვიზიის" სისტემის მეშვეობით მოსკოვიდან გადაცემა ნახეს მომზე სოციალისტურ ქვეყნებში. საზეიმო სხდომის შესახებ სატელევიზიო ინფორმაცია გადაიცა აგრეთვე დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. (საკდესი).

ევროპის თასებზე

მეორე გამარჯვება

**თბილისის „დინამო" — „ბაკო